# ხელშეკრულება № 180

ქ.ზუგდიდი 02"ივლისი" 2015წ.

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა" მისი დირექტორი ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „შემსრულებელი" ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის № 1 საჯარო სკოლა მისი დირექტორი ინეზა კვიტატიანის სახით შემდგომში "დამკვეთი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 **"დამკვეთი" ავალებს , ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის მომსახურება:** სკოლის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. (CPV-71324000)

1.2 **მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება:** 2015 წლის 02 ივლისიდან 2015 წლის 25 ივლისამდე

## 2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები.

2.1 „შემსრულებელს" უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.
„შემსრულებელი" ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს სამ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ორი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს".

## 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულება 150(ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა" უნდა მოახდინოს „შემსრულებლის" მიერ სამუშაოს შესრულებიდან : 10(ათი) დღის განმავლობაში.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს" აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს" პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის 1 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს" ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან" დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

## 5 ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან. მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებით, თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში

## 6 დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## 7. დამატებითი პირობები.

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„შემსრულებელი“

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა“
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93
ს/კ №220002128

„სს ლიბერთი ბანკის“ სამეგრელოს
რეგიონალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE93LB0113140929712000

დირექტორი

---------------------
მ. ჟორჟოლავა

"დამკვეთი"

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
სოფელ ინგირის №1 საჯარო სკოლა
ს/კ 220373502

დირექტორი

---------------------
რ. კვარაცხელია

ს. ...ელავა

# მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. ზუგდიდი 07 ივლისი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ, შპს "ზუგდიდექსპერტიზა" (შემდგომში მიმწოდებელი) მისი წარმომადგენლის დირექტორი ზურაბ ბერულავას სახით და მეორეს მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) მისი წარმომადგენლის დირექტორის ინეზა კვიტატიანის სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ რომ პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორე მხარემ მიიღო 2015 წლის 02 ივლისს გაფორმებული №180 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების, საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 150(ასორმოცდაათი) ლარი.

რაზედაც ვაწერთ ხელს და ვადასტურებთ.

მიღება–ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომლის თითო პირი ჩაბარდება მხარეებს.

ჩააბარა: ______ /ზ. ბერულავა / მიიღო: ______ / ი.კვიტატიანი/